ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის
ოქმი N8

ქ. ლანჩხუთი 8 აპრილი, 2011 წელი

ლანჩხუთის მუნციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტიძე — მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**სხდომას ეწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთელების“ თავმჯდომარე მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე.

**სხდომას არ ესწრებოდა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი.

**მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მაია აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ ბიუროს სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N26 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტიძე /

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტიძე /

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტიძე /

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურში პირადი შემადგენლობის სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტიძე /

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტიძე /

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტიძე /

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის სამუშაო გეგმის პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტიძე /

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2010 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ანგარიშის განხილვისათვის ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტიძე /

9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ანგარიშის განხილვისათვის ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტიძე /

10. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

დღის წესრიგის თითოეულ საკითხზე ბიურომ იმსჯელა და განისაზღვრა დადგენილებების პროექტების საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნისა და განხილვის ვადები. პროექტზე მომუშავე ძირითადი კომისიები.

**დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N26 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში,

ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ.

**საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:** დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (ი. გვარჯალაძე). დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ.

**საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:** დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (ი. გვარჯალაძე). დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, ინფრასტრუქტურის კომისიას, ფრაქციებს –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“ .

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ.

**საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:** დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (ი. გვარჯალაძე) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, ფრაქციებს –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"და „ლანჩხუთელები".

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურში პირადი შემადგენლობის სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ, ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ.

**საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:** დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (ი. გვარჯალაძე). დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, ფრაქციებს –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და „ლანჩხუთელები" .

სხდომის თავმჯდომარე რ. ჩიტიძემ კენჭი უყარა  დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და  განხილვის ვადების დადგენის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ.

**საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:** დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია (გ.ჯანაშია), დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს  სოციალურ საკითხთა კომისიას, ფრაქციებს –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა  დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და  განხილვის ვადების დადგენის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ.

**საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:** დადგენილების  პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია (გ.ორაგველიძე). დადგენილების  პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს

ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიას, ფრაქციებს –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი:**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის სამუშაო გეგმის პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ.

**საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის სამუშაო გეგმის პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას (ი. გვარჯალაძე), სოციალურ საკითხთა კომისიას (გ. ჯანაშია), ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომიაისა (გ.ორაგველიძე), ინფარსტრუქტურის კომისიას (მ.წილოსანი), საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას (პ. ფირცხალაიშვილი), ფრაქციებს –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2010 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ანგარიშის განხილვისათვის ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ.

**საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2010 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას (ი. გვარჯალაძე), სოციალურ

საკითხთა კომისიას (გ. ჯანაშია), ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიას (გ.ორაგველიძე), ინფარსტრუქტურის კომისიას (მ. წილისანი), საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას (პ. ფირცხალაიშვილი), ფრაქციებს –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მერვე საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრგიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ანგარიშის განხილვისათვის ძირითადი კომისიის განსაზღვრისა და განხილვის ვადების დადგენის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ.

**საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია (პ. ფირცხალაიშვილი), ანგარიში განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას, ფრაქციებს –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეცხრე საკითხს:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი:**

**სხვადასხვა**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავამ აღნიშნა, რომ ვგეგმავთ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის შიდა ინტერნეტ ქსელის მოწყობას, რისთვისაც აუცილებელია მოვითხოვოთ ჩვენი კუთვნილი აპარატურა, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ამჟამად უკვე გადმოცემული უნდა ქონდეს ,,სუფსა–ტექნოკომს“. არსებობდა გარანტია, რომ მათ მიერ გაკეთდებოდა ერთიანი ინტერნეტ ქსელი, რომლის შესაბამისი სამუშაოები დღემდე დაუმთავრებელია. მიღებულ უნდა იქნას სათანადო ზომები, რათა ,,სუფსა–

ტექნოკომმა“ უზრუნველყოს მუნიციპალიტეტისათვის კუთვნილი აპარატურის გადმოცემა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. მან დასძინა, რომ გამგეობა ვალდებულია გაატაროს ღონისძიებები პრობლემის მოსაგვარებლად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა შემდეგი:

– გადამოწმებულ იქნა საკრებულოს მ/წ 31 მარტის სხდომაზე ფრაქცია ,,ლანჩხუთელების“ თავმჯდომარის მარინე თურნავას მიერ დაყენებული საკითხი, რომელიც შეეხებოდა უცხოელი ინვესტორის მიერ საავადმყოფოში მომსახურეობის ფასების გაზრდას სახელმწიფო სტანდარტებთან შედარებით. მანვე განმარტა, რომ უახლოეს პერიოდში მოხდება კომპანია ,,აიჰოპის“ წარმომადგენელთან შეხვედრა საკითხის გარკვევის მიზნით.

– ახალგაზრდა ექიმთა ასოციაცია ჩოხატაურში უახლოეს პერიოდში გეგმავს ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა უფასო გამოკვლევას. არსებობს შეთანხმება, რომლის თანახმად ამ კატეგორიის 18 ლანჩხუთელსაც ჩაუტარდებათ ანალოგიური გამოკვლევა.

– საქართველოს მთავრობის მ/წ 1 აპრილის N735 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თავითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500 000 ლარი შემდეგი პროექტების განსახორციელებლად.

ა) ქ. ლანჩხუთის ქუჩების რეაბილიტაცია

ბ) ქ. ლანჩხუთში მრავალსართულიანი სახლების სახურავის რეაბილიტაცია

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდების მოწყობა

– უკვე შედგენილია სათანადო დოკუმენტაცია მ/წ 3–4 აპრილს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიის ზარალის დადგენის მიზნით. საჭიროა განისაზღვროს რამდენად იქნება შესაძლებელი მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებიდან.

დღის წესრიგის ბოლოს საკრებულოს ბიურომ ვადებთან და ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილებები:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად მომზადებასთან დაკავშირებით დაევალოს:

ა) საკრებულოს აპარატის უფროსს (ნ. ძიძიგური):

ა.ა) გამოაქვეყნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტის შემოწმების მასალები და დასკვნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შესახებ;

ა.ბ) გამოაქვეყნოს ცნობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიაში განხილვის ვადების, კომისიის ადგილსამყოფელის და სხდომების გრაფიკის, ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე გატანის დროის და საკრებულოს აპარატის მისამართის, (სადაც შეიძლება წარდგენილი იქნეს მოსაზრებები ანგარიშთან დაკავშირებით), მოსაზრებების წარდგენის ვადის შესახებ.

ა.გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტის შემოწმების მასალები და დასკვნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შესახებ გადაუგზავნოს საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

ა.დ) უზრუნველყოს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ორგანიზება.

ა.ე) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით კომისიისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი დასკვნები და შენიშვნები გადაუგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“:

ბ.ა) ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები.

2. დაევალოს აღნიშნულ კომისიებსა და ფრაქციებს 2011 წლის 20 აპრილამდე განიხილონ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები და საკრებულოს ბიუროს წარმოუდგინონ შესაბამისი დასკვნები.

3. საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომის თარიღად განისაზღვროს 2011 წლის 20 აპრილი.

4. დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს (ნინო ძიძიგური) საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამის კომისიებსა და ფრაქციებში დაგზავნის და დადგენილი წესით გამოქვეყნების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

აღნიშნულს კენჭი უყარა ბიუროს სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ:

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თვამჯდომარე: რევაზ ჩიტიძე

საკრებულოს აპარატის უფროსი: /ნ. ძიძიგური/

თანაშემწე: /დ.დოლიძე/

შემსრულებელი:
საკრებულოს მთ.სპეციალისტი
საოქმო საკითხებში /მ. კეკელიძე/